თანხმობის არარსებობა, როგორც გაუპატიურების დასჯადობის გადამწყვეტი ელემენტი- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსისა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების ანალიზი

ნათია არაჩაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სისხლის სამართლის ფაკულტეტზე სისხლის სამართლის მაგისტრის აკადემური ხარსხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სისხლის სამართლის პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გოგა ხატიაშვილი, სამართლის მაგისტრი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნათია არაჩაშვილი; ნ. არაჩაშვილი. 9. ივნისი. 2023 წელი.

სარჩევი

შესავალი 5

ძირითადი ნაწილი 11

I. გაუპატიურების ისტორიული მიმოხილვა..... 12

II. თანხმობის ელემენტის არსებობა გაუპატიურების დეფინიციაში..... 15

III. სტამბოლის კონვენცია და მისი მნიშვნელობა საქართველოსთვის..... 18

IV. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტები..... 19

V. სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილება თანხმობის არარსებობის ელემენტთან მიმართებაში..... 24

VI. სქესობრივი დანაშაულები ბავშვებთან მიმართებაში..... 29

VII. გაუპატიურებასთან დაკავშირებული სისხლის სამართლის საქმის სამართალწარმოება..... 35

VIII. მეთოდოლოგია..... 40

IX. დასკვნა..... 42

აბსტრაქტი

საქართველოს სისხლის სამართლის 137-ე მუხლი განმარტავს გაუპატიურების დანაშაულს. 137-ე მუხლი დანაშაულის დასჯადობის სამ ხერხს ითვალისწინებს, ესენია: 1)ფიზიკური ძალადობა; 2)ძალადობის მუქარა; 3)უმწეო მდგომარეობაში ყოფნა. თუმცა არაფერს ამბობს სტამბოლის კონვენციის 36-ე მუხლით გათვალისწინებულ თანხმობის არარსებობის ელემენტზე, რომელიც ქმედების გაუპატიურებად კვალიფიკაციისათვის მთავარი და ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტია.

კვლევაში განხილულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლი რამდენად მოდის შესაბამისობაში სტამბოლის კონვენციის 36-ე მუხლთან და საერთაშორისო სტანდარტებთან, რომლებიც ყურადღებას ამახვილებენ თანხმობის არარსებობის ელემენტის აუცილებლობაზე სქესობრივ დანაშაულებთან მიმართებაში. განმარტებულია რა შეიძლება ჩაითვალოს თანხმობად და რა ნების დამთრგუნველ გარემოებად. სტამბოლის კონვენციაზე ხელის მომწერი სახელმწიფოები იღებენ ვალდებულებას, რომ თავიანთ კანონმდებლობას მოაქცევენ სტამბოლის კოვენციასთან შესაბამისობაში. აღნიშნულთან დაკავშირებით განხილულია სხვადასხვა ქვეყნის მაგალითი. მიმოხილულია რა შეიძლება გამოიწვიოს არასრულმა და მოძველებულმა კანონმდებლობამ, სასჯელებთან, მსხვერპლებთან და ბავშვებთან მიმართებაში, ამ მხრივ, რა ზიანი შეიძლება დადგეს. მოხმობილია სტატისტიკური მონაცემები დანაშაულის მიმართვიანობასთან და ზოგადად, სქესობრივ დანაშაულებთან მიმართებაში, ამასთან აღნიშნულია, რამ შეიძლება გამოიწვიოს მიმართვიანობის შემცირება. განმარტებულია, როგორ უნდა შეიცვალოს კანონმდებლობა რომ პიროვნებამ მოახერხოს თავისი უფლებების ეფექტურად და სრულად განხორციელება პრაქტიკაში. მიმოხილულია, როგორ და რის მიხედვით უნდა იხელმძღვანელონ სისხლის სამართლის საქმის წარმოების დროს დარგში მომუშავე ადამიანებმა, რომ არ დაარღვიონ მსხვერპლის უფლებები და არ მიაყენონ მათ დამატებითი ფსიქოლოგიური სტრესი.

აღნიშნული კვლევის მიზანია, წარმოჩინდეს რა პრობლემებს ვაწყდებით სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლის სტამბოლის კონვენციასთან და სხვა საერთაშორისო აქტებთან შეუსაბამობით. როგორ უნდა განიარტებოდეს არსებული დეფინიცია? განხილულ იყოს რა პრობლემებს შეიძლება წააწყდნენ მსხვერპლთა უმრავლესობა თავიანთ ყოველდღიურობაში, თუ მათი უფლებები დაცული ვერ იქნება ვერც სამართლებრივ და ვერც საზოგადო ცხოვრებაში.

ზემოთხსენებული ინფორმაციის შეჯამების საფუძველზე, მხარი დავუჭირე მოსაზრებას, რომ აუცილებელია სახელმწიფომ შეცვალოს მოქმედი კანონმდებლობა (სსკ-ის 137-ე მუხლი) და ქმედების გაუპატიურებად კვალიფიკაციისათვის აუცილებელ ელემენტად თანხმობის არარსებობა განისაზღვროს, რადგან ეს საქართველოს ვალდებულებაცაა. მოძველებული კანონმდებლობა არაერთ პრობლემას ქმნის პრაქტიკაში, მაგალითად, მსხვერპლთა უმეტესობა ამჯობინებს გაჩუმებას, რადგან მათ არ აქვთ დამნაშავის დასჯის იმედი; დანაშაულთა ნაწილი დარჩეს გამოუძიებელი; კანონმდებლობაზე დაყრდნობილმა, თუმცა არასამართლიანმა გადაწყვეტილებებმა შეიძლება წაახალისოს ძალადობა, აღნიშნულმა კი სხვა დანაშაულები შეიძლება გამოიწვიოს.

ძირითადი საძიებო სიტყვები: გაუპატიურება; თანხმობის არარსებობის ელემენტი; სტამბოლის კონვენცია.

Article 137 of the Criminal Law of Georgia explains the crime of rape. Article 137 envisages three forms of punishment for the crime, namely: 1) physical violence; 2) threat of violence; 3) Being in a helpless state. However, it does not say anything about the element of lack of consent provided for in Article 36 of the Istanbul Convention, which is the main and most important element for qualifying the act as rape.

The study examines the extent to which Article 137 of the Criminal Code of Georgia complies with Article 36 of the Istanbul Convention, which focuses on the need for the element of non-consent in relation to sexual crimes. It is explained what can be considered as consent and what are circumstances suppressing the will. The signatory states to the Istanbul Convention undertake to bring their legislation into conformity with the Istanbul Convention. In connection with this, the examples of different countries are discussed. It looks at what incomplete and outdated legislation can do in relation to punishments, victims and children, and what harm can be done in this regard. Statistical data on referrals and sex crimes in general are presented, along with what may and may not be contributing to the decline in referrals. It is explained how the legislation should be changed so that a person can effectively and fully exercise his rights in practice. It is reviewed how and according to what should be guided by people working in the field during the criminal proceedings, so as not to violate the rights of the victim and not to cause them additional psychological stress.

The purpose of this study is to show the problems we face in the non-compliance of Article 137 of the Criminal Code with the Istanbul Convention and other international acts. How should the existing definition be interpreted? Consider what problems the majority of victims may face in their daily life if their rights cannot be protected either in legal or public life.

Based on the summary of the above-mentioned information, I supported the opinion that it is necessary for the state to change the current legislation (Article 137 of the Civil Code) and to determine the absence of consent as a necessary element to qualify the action as rape, because this is Georgia's obligation. Outdated legislation creates a number of problems in practice, for example,

most victims prefer to remain silent because they have no hope of punishing the offender; part of the crimes remain uninvestigated; Decisions based on legislation, however unjust, can encourage violence, which in turn can lead to other crimes.

Main search words: rape; element of lack of consent; Istanbul Convention.